პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

მხატვრული ნაწარმოების ანალიზის წერის პრობლემატიკა X-XI კლასებში

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ
თამარ ფურცხვანიძის კვლევის ანგარიში

2019 წელი

სარჩევი

თავი N 1 4

1.1 ინფორმაცია სკოლისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ..... 4

1.2 საკვლევი თემის განსაზღვრა, პრობლემის აქტუალურობის დასაბუთება..... 4

თავი N 2 6

ლიტერატურის მიმოხილვა 6

3.1 კვლევის მიზნები:..... 14

3.2 კვლევის ამოცანები 15

3.3 საკვლევი კითხვების ფორმულირება 15

3.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:..... 16

თავი N 4 16

კვლევის დიზაინი 16

4.1.კვლევის სამიზნე ჯგუფი: 17

4.2. კვლევის მეთოდები 17

4.3 კვლევის ვადები..... 18

4.4. პირველად მონაცემთა ანალიზი 19

5. ჩარევა (ინტერვენცია) 27

5.1 სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა 27

5.2 ინტერვენციების განხორციელება..... 27

5.3 ინტერვენციების შედეგების შეფასება..... 29

6.1. მიგნებები, რეკომენდაციები 30

6.2.კვლევის ნაკლოვანებები 31
დასკვნა 31
ბიბლიოგრაფია 32
დანართი N 1 33
დანართი N 2 35
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია 36

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის X-XI კლასის მოსწავლეებში მხატვრული ტექსტის ანაალიზის წერის გამომწვევი ფაქტორები და მათი დაძლევის გზების ძიება.

პიროვნების ჩამოყალიბების რთულ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისია მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგანს ენიჭება. ამ საგნის პროგრამაში, ზოგად ნაწილში, მართებულადაა აღნიშნული, რომ " ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არის, არამედ, სხვა საგანთა სწავლების საშუალებაა."გარდა ამისა, „ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის განვითარების მთელი შემდგომი პროცესი." სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერითი უნარების დაუფლებას. ტექსტის ანალიზზე მუშაობა და წერილობითი ფორმულირება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამიტომ ამ საკითხის კვლევა და მისგან მიღებული გამოცდილება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ჩემი საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვისათვის.

ნაშრომი შედგება 6 თავისაგან. I თავში საუბარია სკოლის და სამიზნე ჯგუფის შეახებ, ასევე მოცემულია საკვლევი თემის განსაზღვრა და აქტუალურობა.II თავი ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა, III თავი ეხება კვლევის მიზნებს, ამოცანებს, სავარაუდო გამომწვევ მიზეზებს და მოცემულია საკვლევი კითხვები. IV თავი განიხილავს კვლევის დიზაინს, V თავი მოიცავს ინფორმაციას ინტერვენციის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე ინტერვენციების შედეგების შესახებ,VI თავი ეთმობა მიგნებებსა და რეკომენდაციებს, ასევე კვლევის ნაკლოვანებებს. კვლევის ანგარიშს თან ერთვის დასკვნა, ბიბლიოგრაფია და დანართები.

თავი N 1

1.1 ინფორმაცია სკოლისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ

სსიპ სორმონის საჯარო სკოლაში სწავლობს 35 მოსწავლე და მუშაობს 16 პედაგოგი, რომელთაგან 11-ს უფროსის სტატუსი აქვს, ერთს კი წამყვანის. მასწავლებლები ჩართულნი არიან კარიერული წინსვლის სქემაში და აქტიურად ახორციელებენ საჭირო აქტივობებს. სკოლა საკმაოდ კეთილმოწყობილი და ინფრასტრუქტურულად გამართულია. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი მიუწვდებათ, ტექნოლოგიების დახმარებით წარმართონ საგაკვეთილო პროცესი. გარემო პოზიტიური და სწავლისათვის ხელისშემწყობია.

რაც შეეხება სამიზნე ჯგუფს, კვლევისათვის ავირჩიე X-XI კლასები, სადაც სულ სწავლობს 9 მოსწავლე, 5 - მეათეში და 4 - მეთერთმეტეში, აქედან ორი მაქსიმალურად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და მაღალი აკადემიური მოსწრებისაა, 6- საშუალო და დაბალი მზაობით გამოირჩევა, ხოლო ერთს აქვს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი. კვლევაში ჩაერთვნენ ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის და დაწყებითი კლასების კათედრის მასწავლებლები .

1.2 საკვლევი თემის განსაზღვრა, პრობლემის აქტუალურობის დასაბუთება

ეროვნული საწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. ამათგან წერა,

წერითი კულტურისა და უნარ-ჩვევების განვითარება, ვფიქრობ, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას ქმნის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში. ხდება ისე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ზეპირად გამართულად მეტყველებს, აყალიბებს თავის მოსაზრებს, მსჯელობს ამა თუ იმ საკითხზე, თუმცა, როცა საქმე წერაზე მიდგება, საკმაოდ მძიმე სურათს ვხედავთ. უმეტესად მოსწავლეები პრეზენტაციის, დისკუსიისა თუ სხვა აქტივობების პროცესში აქტიური არიან, წერის პროცესში კი საკმაო ინერტულობას იჩენენ. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი პრაქტიკის კვლევაში წერითი დავალების შესრულებაზე გავაკეთო აქცენტი, კერძოდ, საკვლევ საკითხად ავირჩიე- ანალიტიკური ესეს წერის პრობლემატიკა და პრობლემის დაძლევის გზების ძიება X-XI კლასებში.

თემის წერის პრობლემა ქართულის გაკვეთილზე, ზოგადად, „არ ახალია“. მოგეხსენებათ, საბჭოურ პერიოდში, წინათ, მოსწავლეები თემას ერთი საყოველთაო სქემის მიხედვით წერდნენ, შაბლონებითა და ფუჭსიტყვაობით გაჯერებული თემების რვეული ზოგჯერ ძვირფას რელიკვიასავითაც გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

დღესდღეობით სიტუაცია შეცვლილია- თემის აღსანიშნავად ანალიტიკურ ესეს, თხზულებას, მხატვრული ტექსტის ანალიზსა და სხვა სახელწოდებებს ვიყენებთ, შეიცვალა წერის სტილიც, სტრუქტურაცა და შეფასების კრიტერიუმებიც. თუმცა ტექსტის ანალიზი ისევ რჩება ქართულის სწავლების „აქილევსის ქუსლად“.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ საშუალო საფეხურზე იჩენს თავს, რადგან რთულდება ტექსტებიც და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნებიც. ამასთანავე ამ პერიოდიდან მოსწავლეები უკვე იწყებენ ერთგვარ მზადებას ეროვნული გამოცდებისთვის, იქ კი წერითი დავალების სახით სწორედ მხატვრული ტექსტის ანალიზი ელოდებათ. მოგეხსენებათ, 2019 წელს წერითი დავალების ქულათა სისტემა და შეფასების კრიტერიუმები შეიცვალა და ნაცვლად 25 ქულისა გახდა 30. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი პრაქტიკის კვლევა სწორედ საშუალო საფეხურზე, მე-10- მე-11 კლასებში განმეხორციელებინა, რათა დამედგინა პრობლემის არსი, ჩამომეყალიბებინა ჰიპოთეზები

უკვე 18 წელია, სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი და ამ საკითხზე ხშირად მიწევს მუშაობა, თუმცა პრაქტიკის კვლევამ საშუალება მომცა, უფრო სიღრმისეულად და ფართოდ შემესწავლა პრობლემის მიზეზები და მომეძია გადაჭრის გზები.

თავი N 2

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის პროცესში მოვიძიე საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ლიტერატურა, წიგნებში და ინტერნეტგვერდებზე გავეცანი თეორიულ ინფორმაციასა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რომლებმაც საშულება მომცა, ფართო ჭრილში შემესწავლა საკვლევი საკითხი.

მაგალითად, ქეთევან თოფაძე თავის ნაშრომში „წერითი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“ საკმაოდ დეტალურად მიმოიხილავს წერის სწავლების პროცესს. ეს ნაშრომი ნათლად დაანახებს პედგოგს, თუ როგორ წარმართოს მოსწავლეების მუშაობა წერის პროცესში საიმისოდ, რომ ისინი უკეთეს მწერლებად ჩამოაყალიბოს. ავტორი აღნიშნავს: “წერითი მეტყველების განვითარება ურთულესი საკითხია.განათლების რეფორმის შედეგად შემუშავებული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, სწავლების ეს ასპექტი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და სავალდებულო ხდება, რადგან წერა , ალბათ, ყველაზე მეტად განაპირობებს სწავლას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ აღმოჩენის, ღრმა წვდომის და აზროვნების პროცესის წარმართვას. სამწუხაროდ, მასწავლებელთა უმრავლესობისათვის წერითი მეტყველების სწავლება გადაუჭრელ პრობლემად რჩება მთელი მათი პედაგოგიური კარიერის მანძილზე.“(ქ.თოფაძე:“ წერითი მეტყველების სტრატეგიები“;ალმანახი „დიალოგი+“; სტატიების კრებული,2010 წ. გვ.204.)

წიგნი წერითი მეტყველების სწავლების რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მიმართულებას განიხილავს. ესენია:

- შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა განიხილონ და იმსჯელონ წერით დავალებებზე იქამდე, სანამ წერას დაიწყებენ;
- შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა მოიძიონ და დაამუშაონ საკმარისი ინფორმაციაიმ საკითხის შესახებ, რომელზეც ისინი წერით დავალებას ასრულებენ;

- შესაძლებლობა, რომ მოსწავლეები გაეცნონ, გაიზიარონ და გააცნობიერონ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მასწავლებელი შეაფასებს მათ ნამუშევრებს;
- შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა რედაქტირება გაუკეთონ და გაასწორონ ერთმანეთის ნამუშევრები;
- შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა წაიკითხონ თავიანთი ნამუშევრები ხმამაღლა მთელი კლასის ან მცირე ჯგუფების წინაშე და ზეპირი ან წერილობითი კომენტარებით გამოეხმაურონ ერთმანეთს.

მოცემული ნაშრომის მიხედვით, წერით მეტყველებას მრავალი საფეხური აქვს და მათი განსაზღვრის რამდენიმე გზა არსებობს, მაგრამ პროცესზე ორიენტირებული წერის ყველაზე მარტივი და გავრცელებული აღწერა ოთხ საფეხურს გულისხმობს. ისინი პირობითად შემდეგი ტერმინებით შეიძლება აღვნიშნოთ: მონახაზი, რედაქტირება, კორექტურა და გაზიარება. „წერითი მეტყველების სტრატეგიებში“ ამ ოთხი საფეხურის შესახებ მიმდინარეობს მსჯელობა და სტრატეგიებიც მოცემული ეტაპების მიხედვითაა შერჩეული და დალაგებული.

წერის დაწყებამდე დიდი მნიშვნლობა ენიჭება მოსამზადებელ სამუშაოებს. ავტორი გვირჩევს, მივცეთ მოსწავლეებს შესაძლებლობა, რომ განიხილონ და იმსჯელონ წერით დავალებებზე იქამდე, სანამ წერას დაიწყებენ.“ მე-10- მე-12 კლასებში ნაწერის მიზანი და მკითხველთა აუდიტორია განსაზღვრულია და სწორედ ამიტომ აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დროს, რომელსც მასწავლებელი უთმობს და ინსტრუქციას, რომელსაც იგი აძლევს, უმარტავს მოსწავლეებს წერითი დავალებების არსის, მიზნისა და დანიშნულების შესახებ...დისკუსიის წარმოება და მსჯელობა ამ აქტივობის ამოსავალი წერტილია. ასევეა სინოფსისის შექმნა. (სინოფსისი ერთგვერდიანი თხრობაა იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელებენ მოსწავლეები წერით დავალებას.) (ქ.თოფაძე:“ წერითი მეტყველების სტრატეგიები“;ალმანახი „დიალოგი+“; სტატიების კრებული,2010 წ.; 206-207 გვ.) წერის დაწყებამდე ავტორი გვირჩევს ასევე, რომ მოსწავლეებს მივცეთ შესაძლებლობა , მოიძიონ და დაამუშავონ საკმარისი ინფორმაცია იმ საკითხის შესახებ, რომელზეც ისინი წერით დავალებას შეასრულებენ. მათთვის საჭირო ინფორმაციის (იდეების, მოსაზრებების, სხვადასხვა თვალსაზრისის, ფაქტებისა და მათი განსხვავებული ინტერპრეტაციის) თავის მოსაყრელად საუკეთესო სტრატეგიაა „გონებრივი იერიში“.ასევე შესაძლებელია მოსწავლეებს მივაწოდოთ საზროვნო სქემები, რომლითაც ისინი მასალის კატეგორიზებასა და ორგანიზებას და ამ მასალაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმას შეძლებენ.

წერითი მეტყველების პროცესზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეთათვის ნაწერის ჩამოყალიბებასა და დახვეწისათვის დროისა და შესაძლებლობების მიცემაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რედაქციების ჩამოყალიბებისათვის გამიზნულ გარკვეულ სამუშაოებს, რაც გულისხმობს: კონკრეტული იდეების ჩამოყალიბებასა და გავრცობას, მოსაზრებათა დაკონკრეტებას, მაგალითების გამრავალფეროვნებად, დასკვნების შეჯამებასტექსტის სტილურად და გრამატიკულად გამართვასკორექტურას და სხვა.

რედაქტირების სწორად წარმართვისათვის ავტორი გვირჩევს, მივცეთ მოსწავლებს დეტალური კრიტერიუმები, რის მიხედვითაც მათ ნაშრომებს შევაფასებთ და ვასწავლოთ მათ კრიტერიუმების მიხედვით ნაწერის რედაქტირება. „ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლისათვის „აქილევსის ქუსლს“ სწორედ მოსაზრებების წერილობითი განვითარების და რედაქტირების სწავლება წარმოადგენს და საამისოს, მასწავლებლისთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ სტრატეგიად, გაკვეთილის გარკვეული დროის წერითი მეტყველების ანალიტიკური ტიპის სამუშაოებისთვის სისტემატურად დათმობა შეიძლება.“(ქ.თოფაძე:“ წერითი მეტყველების სტრატეგიები“;ალმანახი „დიალოგი+“; სტატიების კრებული,2010 წ. გვ.221.)

იმისთვის, მოსწავლეებმა კონკრეტული გზები დაისახონ, თუ როგორ გამოასწორონ ნასრომში დაშვებული შეცდომები, ავტორი გვირჩევს, მივაწოდოთ მოსწავლეებს წერილობითი კომენტარებით რჩევები, რომელთა გათვალისწინებითაც დახვეწენ თავიანთ ნამუშევარს. ამგვარი გასწორების მეთოდის სისტემატური გამოყენებისას, მოსწავლეები, ნაწერის სულ რაღაც ორი-სამი გასწორების შემდეგ, თავად სწავლობენ, რომელი ტიპის შეცდომა როგორ შეიძლება გამოასწორონ და რა საშუალებებს შეიძლება მიმართონ. მოსწავლეს უვითარდება დამოუკიდებელი მუშაობის, შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღების, დაკვირვებული სამუსაო პროცესის წარმოების, წერის პროცესის ორგანიზების, ნაწერის რედაქტირებისა და სამუშაოს ბოლომდე მიყვანის, დასრულების უნარ-ჩვევები, მატულობს სასწავლო პროცესის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების ხარისხი, რაც პირდაპირ განაპირობებს წერითი მეტყველების დონის გაუმჯობესებას და წერითი დავალებების მიმართ მოსწავლეში დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ასევე ის დამხმარე სტრატეგიები, რომელთაც ავტორი გვთავაზობს წერითი მეტყველების დონის ასამაღლებლად.

1. დავავალოთ მოსწავლეებს, რომ შეაფასონ და გადაასწორონ თავიანთი ის ნამუშევრები, რომლებიც მათ წლის დასაწყისში ან თუნდაც წინა წელს

დაწერეს. შემდეგ კი დავაწერინოთ თავიანთი ადრეული ნაწერების ანალიზი და მიმოხილვა.

2. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ ერთმანეთის დასახმარებლად მრჩევლის როლი მოირგონ და ერთ გაკვეთილს ან გაკვეთილის გარკვეულ ნაწილს უთმობს მოსწავლეების მიერ ერთმანეთის ნაწერების გასწორებას. “ ერთი მოსწავლე კი არ უნდა უკეთებდეს ერთმანეთს საქმეს, არამედ წყვილის ორივე წევრი ერთობლივად უნდა ცდილობდეს საუკეთესო, ოპტიმალური გამოსავლის პოვნას.“(ქ.თოფაძე:“ წერითი მეტყველების სტრატეგიები“;ალმანახი „დიალოგი+“; სტატიების კრებული,2010 წ. გვ.232.)
3. გავაანალიზებინოთ მოსწავლეებს მაღალი დონის ნამუშევრები და დავაწერინოთ მათი მიმოხილვა
4. წერითი დავალების გასწორებისას მასწავლებელმა უარყოფით კომენტარებთან ერტად ყურადღება უნდა მიაქციოს პოზიტიურ კომენტარებსაც.და თუნდაც ერთი ან ორი მარტივი სიტყვით, აუცილებლად უნდა გამოეხმაუროს მოსწავლის პროგრესს, მოტივაციას, აკადემიურ მიღწევასა და სხვა.

გარდა ამისა, თავისი ნაშრომის მეოთხე თავში ქეთევან თოფაძე საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებსა და სტრატეგიებს გვთავაზოს აუდიტორიაზე ორიენტირებული წერისთვის. მისი აზრით, მკთხველისთვის ნაწერის მომზადება წერითი მეტყველების პროცესს მეტად შემოქმედებითს ხდის, ამაღლებს მოტივაციას, ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თვალსაწიერის, ინტერესთა სფეროს გაფართოებას და მათ ინტელექტუალურ თუ პიროვნულ ზრდას.

ამ მიზნით ავტორი გვთავაზობს, დავნერგოთ ნამუშევრების განხილვის ისეთი პრაქტიკა, რომლის დროსაც მოსწავლეები თავიანთ ნაწერებს წაუკითხავენ თანაკლასელს ან თანაკლასელთა მცირე ჯგუფს. “ მეტად ნაყოფიერი ხერხია, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს წაუკითხონ ან ერთმანეთს წააკითხონ ესეები და ამ გზით შეძლონ ტექსტის იდეურ-შინაარსობრივი თუ ტექნიკური გაუმჯობესება, რადგან ისინი(როგორც ყველა სხვა) სხვათა ნაწერებში უფრ ამჩნევენ ხარვეზებს, ვიდრე საკუთარში.“(ქ.თოფაძე:“ წერითი მეტყველების სტრატეგიები“;ალმანახი „დიალოგი+“; სტატიების კრებული,2010 წ. გვ.237.) შესაძლებელია ასევე მოსწავლეებს დავავალოთ ფართო აუდიტორიისათვის წერითი დავალების შესრულება. მაღალი დონის ნამუშევრები გამოვფინოთ, რაც პოზიტიურისკენ ცვლის წერითი მეტყველების და ზოგადად, ლიტერატურის სწავლის მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულებას.

და ბოლოს, ავტორი გვირჩევს, ზოგჯერ მაინც გამოვნახოთ დრო და ვაიძულთ თავი, რომ ვწეროთ ჩვენს მოსწავლეებთან ერთად, შემდეგ კი წავუკითხოთ მათ

თავიანთი ნაწერი.ეს სტრატეგია მასწავლებელს მასწავლებლის „ფორმაში ყოფნას“ და „მასწავლებლის ქცევა, საქმიანობა მოსწავლეებისათვის ნიმუშად, მოდელად იქცევა, რადგან მოდელად იქცევა, რადგან მისი გამოცდილება, შეხედულებები, დამოკიდებულებები და მათი გადმოცემის ხერხები მოსწავლეთათვის უკიდურესად საინტერსო და მისაბაძია...მართლაც რომ უნიკალური, თავისუფალი საკლასო გარემო იქმნება, რაც წერით მეტყველების სწავლებას როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვის, სრულიად განუმეორებელ და შმოქმედებით გამოცდილებად ქცევს.“(ქ.თოფაძე:“ წერითი მეტყველების სტრატეგიები“;ალმანახი „დიალოგი+“; სტატიების კრებული,2010 წ. გვ.241.)

როგორც ვხედავთ, ქ.თოფაძის :“ წერითი მეტყველების სტრატეგიები“საკმაოდ სიღმისეულად მიმოიხილავს წერითი მეტყველების სწავლების სპეციფიკას და ძალიან საინტერესო, პრაქტიკულ და სასარგებლო რეკომენდაციებს გვთავაზობს ამ კუთხით, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, ჩემი კვლევის ანგარიშში დეტალურად განმეხილა ეს ნაშრომი.

თინათინ სახელაშვილი სატატიაში :“ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს თხზულების წერა“ აღნიშნავს:“ წერა არის ინდივიდის კომუნიკაცია საზოგადოებასთან. კომუნიკაცია შეიძლება იყოს ვერბალურიც და არავერბალურიც...წერის დროს ადამიანი მარტო რჩება საკუთარ თავთან, ნაწილობრივ თავისუფლდება გარე ფაქტორების ზემოქმედებისაგან, ამიტომ ნაწერი გაცილებით ობიექტურია.“ წერილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის როლზე. მისი თვალსაზრისით, მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა განუმარტოს ტექსტის იდეა, თემა, პრობლემატიკა, დაეხმაროს ძირითადი საკვანძო სიტყვების მოძიებაში. სწავლების დროს გასათვალისწინებელია ბავშვის განვითარების დონე, კითხულობს თუ არა მოზარდი მისი ასაკისთვის განკუთვნილ ლიტერატურას, რომელიც ეხმარება და უმდიდრებს ფანტაზიას. კითხვის მოყვარული ბავშვები მდიდარი ლექსიკით გამოირჩევიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია თხზულების წერის დროს. ავტორი აქვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონსტრუქტივისტულ აზროვნებას, რაც საკუთარ ცოდნაზე დამყარებით ახალი ცოდნის აგებას გულისხმობს. მისი აზრით, ეს საჭირო თეორიაა, რომელიც აადვილებს მოსწავლის შემეცნებითი უნარის განვითარებას. როგორც არ უნდა ეცადოს ადამიანი,თ ლექსიკური მარაგი მწირი აქვს, კარგი თზულების დაწერა, აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება გაუჭირდება. ამგვარად, გამოსავალი ერთია: წიგნიერი ცოდნის შეძენა.

„ წერა ემოციების, გრძნობების, საკუთარი თავის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ფსიქოლოგები კალიგრაფიით ადამიანის ხასიათის შტრიხებსაც კი ამოიცნობენ ხოლმე. ყველას როდი შეუძლია, წერის დროს მხატვრული ხერხები

გამოიყენოს და თხრობა უფრო მიმზიდველი გახადოს, მაგრამ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გამართული წინადადების აგება უნდა შეეძლოს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას დაასრულებს.“
-აღნიშნავს თინათინ სახელაშვილი თავის სტატიაში. (http://mastsavlebeli.ge/?p=3568)

მარიამ გოდუაძე წერილში “ მასწავლებლის საიდუმლო და წერის სწავლების კონცეპტუალური თეზისები, აღნიშნავს :“ არაერთგზის თქმულა და დაწერილა, რომ წერა შემოქმედებითი, ინტელექტუალური პროცესია. იგი რთულია იმდენად, რამდენადაც ავტორს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს და არ არსებობს მზა რეცეპტი, რომლის მიხედვითაც უნდა ვწეროთ. თუმცა, მიუხედავად მეთოდური მასალის მრავალფეროვნებისა, მაიც ხშირად დაისმის კითხვა, როგორ შეიძლება წერის დაუფლება ან არსებობს თუ არა წერის სიდუმლო, რომლის ამოხსნაც შესაძლებელია.“(http://mastsavlebeli.ge/?p=2055)

ავტორი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ წერის პროცესში შესაძლებელია თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების ელემენტების ინტეგრირება. სწავლების პროცესში შესაძლებელია გამოვიყენოთ სამსაფეხურიანი მეთოდი „ უპასუხე, გაუზიარე, შეავსე“.ეს არის აქტივობა, როდესაც მოსწავლე ჯერ ინდივიდუალურად პასუხობს დასმულ შეკითხვას, შემდეგ უზიარებს თავის პასუხს მეწყვილეს ან მცირე ჯგუფს, მსჯელობის შემდეგ კი შეავსებს და ჩაასწორებს მას.ავტორს ერთ-ერთ საინტერესო და ნაცად ხერხად ესახება მოსწავლეთა ჩართვა კვლევით პროექტებში,რომლებსაც იმთავითვე ახლავს ინტერვიუს მომზადებისა და ჩაწერის პროცესი, ეს კი მოსწავლეებს ეხმარება ერთმანეთთან, პედაგოგსა თუ თემის წევრებთან კომუნიკაციის, წერის უნარების განვითარებაში, ძველი ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, ფიქრის, გრძნობისა და გამოცდილების ზეპირი თუ წერილობითი ფორმით გადმოცემაში.

რაც შეეხება უშუალოდ მხატვრული ტექსტის ანალიზს, ანალიტიკური ტექსტის ერთ-ერთი გამოკვეთილი სახე სწორედ მხატვრული ნაწარმოების ანალიზია. მხატვრული ნაწარმოების ანალიზია. მხატვრული ნაწარმოები შეიძლება რამდენიმე მიმართულებით გაანალიზდეს, კერძოდ:

- საკუთრივ მხატვრული ნაწარმოების ანალიზი;
- მხატვრულ ნაწარმოებში წამოჭრილი ცალკეული კონკრეტული პრობლემის ანალიზი;
- ნაწარმოების ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზი;

- ნაწარმოებთან დაკავშირებული ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების განხილვა;
- გმირების დახასიათება;
- პრობლმის ან გმირის შეპირისპირებითი ანალიზი;
- და სხვა ...

შესაძლებელია, ლიტერატურული ნაწარმოების როგორც ცალკეული ამ მიმართულებით გარჩევა, ისე მთლიანად ტექსტის ანალიზი ყველა ზემოთჩამოთვლილი პრობლემის გათვალისწინებთ, რაც დამოკიდებულია თქვენს მიზანსა და კონკრეტულ ამოცანებზე.“ ანალიტიკური წერისას ეფექტური წერილობითი ნამუშევრის მისაღებად აუცილებელია რამდენიმე ეტაპის გავლა. თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია აქვს და ავტორისაგან მოითხოვს გულდასმით დამუშავებასა და სათანადო ყურადღებას. თანმიმდევრობა სქემითაც შეიძლება გამოიხატოს.



(გოჩიტაშვილიქ., შაბაშვილი გ.- „ანალიტიკური წერა“ http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/wignebi/analitikuri%20werA/analitikuri_%20wera3.htm)

მხატვრული ნაწარმოების ანალიზთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებს გვაწვდის ნინო ლომიძე თავის სტატიებში: “პროზაული მხატვრული ტექსტის ანალიზი“; „პროზაული ტექსტი-გაგება-გააზრებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალება“; „მხატვრული ნაწარმოების ანალიზი-მეთოდური მითითებები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის“; ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ“(ყველა ეს სტატია მოცემულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრის გამოცემულ „მასწავლებლის წიგნში “N 7-2017 წ.,)მოცემულ სტატიებში ავტორი მიმოიხილავს მხატვრული ტექსტის სწავლების სპეციფიკას სასწავლო პროცესში, ასევე გვთავაზობს ლიტერატურის სწავლების იმ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც პრაქტიკულ რჩევებზეა დაფუძნებული და პასუხს სცემს უმთავრეს კითხვას-როგორ ვასწავლოთ ლიტერატურული საკითხები სკოლაში ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა და პროცესმა ბიძგი მისცეს თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური-ინდივიდუალური და შემოქმედებითი - პოტენციალის გამოვლენას.

ავტორი წერილში „მხატვრული ნაწარმოების ანალიზი“ აღნიშნავს:“მოსწავლეებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ტექსტის მხატვრული ანალიზი ყველაზე რთულ შესასრულებელ მისიად მიაჩნიათ. არადა, ამ მიმართულებას მასწავლებელი, როგორც წესი, პროგრამული მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას გამუდმებით ამუშავებს, თანაც წლების განმავლობაში(არა მარტო საშუალო საფეხურზე) და გაკვეთილის ყველა ეტაპზე“. (ლომიძე ნ. „მხატვრული ნაწარმოების ანალიზი“; მასწავლებლის წიგნი N 7; 2017 წ.)

თავის წერილში „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ“ ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე წამოჭრილი პრობლემების რამდენიმე თემატურ ჯგუფს გამოყოფს. ესენია:

წიგნიერების იმიტაცია;

შინაარსზე ორიენტირება;

საპროგრამო ტექსტების რაოდენობა და მოცულობა;

შინაგანი მოტივაციის ნაკლებობა-მიზეზები(ნაკლებადაა გათვალისწინებული მოსწავლის ასაკი, ასაკობრივი თავისებურებები, ფსიქოემოციური განვითარება და სხვა.)

ცხოვრებისეული გამოცდილება და ტექსტების აქტუალურობა;

მონოკულტურული ჭრილი(ლიტერატურული ტექსტების გააზრება უმეტესად ჩაკეტილ, მონოკულტურულ ჭრილში ხდება)

ენობრივ-გრამატიკული ასპექტი.

ავტორი საინტერესო ხედვებს გვაწვდის ამ პრობლემათა დაძლევის თვალსაზრისით. იგი მასწავლებლებს სთავაზობს პროზაული და პოეტური მხატვრული ტექსტს ანალიზის სწავლების მეთოდებსა და რეკომენდაციებს. ავტორი გვირჩევს ანალიზის დროს აქტიურად ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესში სქემები და დიაგრამები,აზრობრივი რუკები და სხვა.

ჩემთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა ის შეხედულებები, რომელთაც გვთავაზობს ირინა სამსონია თავის სტატიაში „მხატვრული ტექსტის გააზრების ზოგიერთი ასპექტი“-ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“. მისი მოსაზრებით, მხატვრული ტექსტის გააზრება ხდება ორ დონეზე. თავდაპირველად მოსწავლეს უჩნდება საკუთარი დამოკიდებულება წაკითხული ტექსტის მიმართ, აკეთებს ემოციურ შეფასებებს და საკუთარი ხედვით აანალიზებს პრობლემებს. ის ამბობს:“ როგორც ცნობილია, ტექსტი, როგორც თავისთავადი ღირებულება, არ არსებობს,- მას აზრს და მნიშვნელობა მკითხველი ანიჭებს. მკითხველი არის ის, ვინც დიალოგს ამყარებს იმ იდეებთან, თემებთან, ფასეულობებთან და შეხედულებებთან, რომლებსაც ტექსტში ამოიკითხავს.“(სამსონია ი.-„მხატვრული ტექსტის გააზრების ზოგიერთი ასპექტი. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“.26 სექტემბერი, 2014 წ. http://mastsavlebeli.ge/?p=4081)

ავტორი შენიშნავს, რომ მკითხველი ტექსტთან ურთიერთობის მეორე დონეზე იწყებს წაკითხული ტექსტის ანალიტიკულად და ანალიტიკურად გააზრებას იწყებს. ამ დროს მკითხველი საკუთარი თვალსაზრისის დადასტურებლად უკვე ცდილობს დაეყრდნოს ტექსტს, მოიყვანოს შესაბამისი ციტატები, ასევე გაანალიზოს ტექსტის მხატვრული საშუალებები. მაღალ დონეს წარმოადგენს ასევე ტექსტის მთავარი იდეის, მასში წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემების განზოგადების უნარი.

სტატიის ავტორი საინტერესო შეხედულებებს ავითარებს ტექსტის გააზრებას კონტექსტისა და ინტერტექსტის კავშირის საფუძველზე. მისი აზრით, საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ტექსტის გააზრებისას უნდა ითვალისწინებნებდეს ისტორიულ ეპოქას, სოციალურ-კულტურულ თავისებურებებს, ასევე ლიტერატურულ პერიოდს და სხვა.

თავი N 3

3.1 კვლევის მიზნები:

ჩემი კვლევის მიზანია:

- დეტალურად შევისწავლო ანალიტიკური ესეს წერასთან დაკავშირებული პრობლემები
- განვახორციელო ინტერვენციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოცემული პრობლემების მოგვარებას.

3.2 კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დავისახე შემდეგი ამოცანები

- განვსაზღვრო ძირითადი საკვლევი კითხვები;
- საკითხის ნათელსაყოფად ჩავატარო როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობითი კვლევა როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთან :

- ჩავატარო აღწერითი დაკვირვება, კერძოდ, დავაკვირდე უშუალოდ მათი წერის პროცესს და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს, რათა გამოვკვეთო მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები.
- ფოკუსირებულად დავაკვირდე თითოეული მოსწავლის ესეებს და გამოვკვეთო, კონკრეტულად რა სახის სირთულეები იჩენს წერის დროს თავს.
- გავარკვიო, რა სახის პრობლემებს აწყდებიან სხვა მასწავლებლები ამ მიმართულებით.
- გავაანალიზო კვლევით მიღებული შედეგები და დასკვის შესაბამისად განვსაზღვრო ინტერვენციები.

3.3 საკვლევი კითხვების ფორმულირება

კვლევის მთავარი კითხვები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- რა პრობლემებს აწყდებიან მოსწავლეები მხატვრული ნაწარმოების ანალიზის წერის პროცესში და რა იწვევს წერის სირთულეს ?
- როგორ შეიძლება ამ პრობლემებთან გამკლავება?
- როგორ შეიძლება გამოვუმუშაოთ მოსწავლეს წერითი კულტურა?

კვლევის ამ მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე ქვეკითხვები:

- როგორი უნდა იყოს მასწავლებლის გაცემული ინსტრუქციები წერითი სამუშაოს სწორად შესასრულებლად?
- რა მეთოდები და სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ წერა მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო გახდეს?

- ❖ რამდენ ხანს ანდომებენ ისინი წერითი დავალების შესრულებას გაკვეთილზე ან სახლში?
- ❖ რა სახის დახმარება შეიძლება მივიღო სხვა მასწავლებლებთან თანამშრომლობით?

3.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

- მოგეხსენებათ, მე-10 კლასში პროგრამა იწყება ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლით, რომელსაც მოსწავლეები ძველი ქართულით ეცნობიან. ტექსტები საკმაოდ დიდი მოცულობისაა . რთულდება სასწავლო პროცესი, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციები, რომელთა დაძლევაც მოსწავლეთა ნაწილს უჭირს.
- ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ დროის ფაქტორი. მოსწავლეებს დიდ დროს უთმობენ ტექსტის შინაარსის დამუშავებას, თანამედროვე ენაზე ფორმულირებას, რაც მათ უკარგავთ მოტივაციას.
- ერთ-ერთ სირთულედ შეიძლება ჩაითვალოს ანალიტიკური ესეების წერის უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რაც მათ დაბალ თვითშეფასებას იწვევს. ისინი თავიდანვე უხალისოდ უდგებიან საქმეს, რადგან თხზულებისა თუ ესეს წერას დაუძლეველ პრობლემად თვლიან.
- წერის დროს სირთულეს წარმოადგენს მოსწავლეთა წიგნიერების დაბალი დონეც, რაც ასევე იწვევს მოტივაციისა და სასწავლო მზაობის ნაკლებობას.
- ვთვლი, რომ ასევე დაბალია მოსწავლეებში გრამატიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონე, გამომდინარე იქიდან, სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული გრამატიკის საკითხები და მათთვის დათმობილი დრო არ არის საკმარისი.

თავი N 4

კვლევის დიზაინი

კვლევისას ჩასატარებლად წინასწარ შევიმუშავე კვლევის გეგმა, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები.

4.1.კვლევის სამიზნე ჯგუფი:

1. X-XI კლასის მოსწავლეები- 8 მოსწავლე (სამწუხაროდ, სსმ მოსწავლემ კვლევაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა.)
2. ქართული ენისა და ლიტერატურისა და დაწყებითი კლასების კათედრის მასწავლებლები- 6 პედაგოგი

4.2. კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებულ იქნება შერჩევის ორი ტიპი:

- **სრული შერჩევა-** საკვლევი პრობლემის შესასწავლად დაიგეგმა ანკეტირების ჩატარება კითხვარების საშუალებით.კითხვარი განკუთვნილია X-XI კლასების მოსწავლეებისათვის.კითხვები იყო დახურული, ღია და ანონიმური, რადგან, როგორც ცნობილია, ამ დროს რესპოდენტი არის უფრო გულწრფელი და შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები ზუსტი და სანდოა.
- **მიზნობრივი შერჩევა-** კვლევის ფარგლებში ეს შერჩევა გამოიყენება ფოკუს-ჯგუფის დროს, რომლის ფარგლებში შევხვდი ფილოლოგიისა და დაწყებითი კლასების კათედრების მასწავლებლებს, რათა გამერკვია პედაგოგების მოსაზრებები მხატვრული წერის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. შევეცადე გამერკვია, რა არის ყველაზე დიდი პრობლემა მოსწავლეებში მხატვრული ანალიზის წერისა და რა ტიპის შეცდომებს უშვებენ ისინი? როგორ შეიძლება გავუუმჯობესოთ მოსწავლეებს წერითი უნარები? რა ტიპის ესეს წერენ უფრო ხალისით და წარმატებულად- მხატვრულს თუ არგუმენტირებულს? რა არის ამის მიზეზი და სხვა.ფოკუს-ჯგუფის ჩატარება განაპირობა იმანაც, რომ მონაწილეები იყვნენ საკითხით დაინტერესებული პირები და აზრთა ურთიერთგაზიარება საკვლევი საკითხის ბევრ დეტალს უფრო გამოკვეთდა.

- ფოკუსირებული დაკვირვება მოსწავლეთა ნამუშევრებზე, რათა განისაზღვროს, კონკრეტულად რა საკითხებია მოსწავლეთათვის პრობლემური.
- ასევე განვახორციელე ჩართული დაკვირვება- სამივე სახის -აღწერითი, ფოკუსირებული და შერჩევითი- დაკვირვებისათვის ვაწარმოე დღიური.

- აღწერითი დაკვირვებით ვაკვირდებოდი ორივე კლასში ვაკვირდებოდი სასწავლო პროცესს მთლიანად მთელი ქართულის გაკვეთილების მანძილზე, რათა შემესწავლა, ზოგადად, სასწავლო პროცესი.
- ფოკუსირებული დაკვირვება- ვაკვირდებოდი უშუალოდ წერითი დავალებების, კერძოდ, ანალიტიკური ესეს შესრულების პროცესს. ვცდილობდი ამ დროს მოსწავლეებს სხვადასხვა სახის ანალიტიკური ესეები შემეთავაზებინა(მაგალითად, მთელი ტექსტის ზოგადი ანალიზი, კონკრეტული ეპიზოდის გაანხილვა, პერსონაჟთა მხატვრული სახის შესახებ საუბარი, მთავარ სათქმელზე მსჯელობა, მხატვრულ საშუალებათა მიმოხილვა და სხვა), რათა უკეთ განმესაზღვრა, რა ტიპის დავალებებს უფრო ადვილად ართმევენ თავს და რა უფრო უჭირთ.)
- შერჩევითი დაკვირვება- ვაკვირდებოდი თითოეული მოსწავლის ჩართულობის ხარისხს, რამდენად აქვთ წერითი უნარები გამომუშავებული, რამდენად აქვთ ერთმანეთის მოსმენის უნარი, საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი, ასევე მოცემული დავალების სწორად აღქმის უნარი და სხვა.
- რაც შეეხება მეორადი მონაცემების ანალიზს, ეს მეთოდი მეორად მონაცემთა დამუშავებისთვის გამოვიყენე.

4.3 კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის შერჩევა						
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება						
ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან						
მოსწავლეებზე დაკვირვება						
კითხვარის შედგენა-დამუშავება						

ანკეტირების ჩატარება						
მიღებული შედეგების ანალიზი						
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა						
ინტერვენციების განხორციელება						
ინტერვენციის შედეგების შეფასება						
პეზენტაცია სკოლის მასწავლებლებთან, შედეგების გაცნობა						

4.4. პირველად მონაცემთა ანალიზი

ამ თავში განხილულია მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის გამოყენებთ მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანალიზი.

პედაგოგებთან ფოკუს-ჯგუფის ჩატარებამ საშუალება მომცა, განმესაზღვრა ზოგადი სიტუაცია სკოლაში წერის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. ფოკუს-ჯგუფში ჩავრთე დაწყებითების მასწავლებლებიც, რადგან წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებას მოსწავლეები სკოლაში შესვლისთანავე იწყებენ და ჩემთვის საინტერესო იყო, რა პრობლემებს აწყდებიან მასწავლებლები.

ფოკუს-ჯგუთან ჩატარებული გამოკითხვის მთავარი მიზანი იყო დამედგინა, რამდენად ხშირად აძლევენ მასწავლებლები მოსწავლეებს მხატვრული ნაწარმოების ანალიზს დასაწერად, რა ტიპის ესეებზე უწევთ უფრო ხშირად მუშაობა. მათი აზრით, რა არის ყველაზე დიდი პრობლემა ესეს წერისას და რა ტიპის შეცდომებს უშვებენ

ისინი ყველაზე ხშირად.ასევე საინტერესო იყო მათი მოსაზრებები, რა მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები ამა თუ იმ პრობლემის დასაძლევად..
აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ხშირად აძლევენ მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის ანალიზს წერლობით. ბავშვებს დაწყებითი კლასებიდანვე უწევთ განიხილონ წაკითხული და ზეპირად თუ წერილობით გადმოსცენ მოსაზრებები., მაგრამ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილს, რომლებსაც ზეპირად სეუძლიათ აზრის ჩამოყალიბება, წერილობით უჭირთ მისი ფორმულირება. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემები ზედა კლასებში უფრო იჩენს თავს, რადგან დაწყებითებში დავალება მცირეა, დრო ნაკლები სჭირდება, ასევე მეტია მშობელთა ჩრთულობაც. ხოლო რაც უფრო იმატებს მოსწავლეებს უფრო უჭირთ პრობლემებთან გამკლავება. ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს წიგნიერების ნაკლებობაც. თუ დაწყებითებში ამ მხრივაც მეტი აქტიურობაა, ზედა კლასებში იკლებს ინტერესი, ხოლო წიგნიერების დონე პირდაპირპროპორციულია ზეპირი და წერითი(უფრო წერითი) მეტყველების განვითარებასთან. ცხადია, ლექსიკური მარაგი თუ ენობრივი კომპეტენცია ნაკითხ მოსწავლეს ბევრად მეტი აქვს. სწორედ ამიტომ თანდათან იკვეთებიან მოსწავლეები, რომელთაც წიგნიერების დონე უფრო მაღალი აქვთ. მათ წერითი უნარ-ჩვევებიც უფრო განვითარებული აქვთ.

საიტერესო ინფორმაცია მომცა დაკვირვებამ,რომლის უკეთ გაანალიზებისთვის ვაწარმოებდი დღიურს. **აღწერითი დაკვირვების** საშუალებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები არც თუ ისე ხალისით უდგებიან წერითი დავალების შესრულებას, პირიქით, ის საგაკვეთილო პროცესის ერთ-ერთ ყველაზე არასასიამოვნო მომენტად მიაჩნიათ. რაც შეეხება **ფოკუსირებულ დაკვირვებას,** ამ დაკვირვებამ საშუალება მომცა დამედგინა, რო მოსწავლეთა ნაწილს უჭირს მთავარი სათქმელის შესახებ მსჯელობა, ნაწილს კი - სათქმელის დამადასტურებელი მაგალითების მოხმობა ტექსტიდან. თითქმის ყველა მოსწავლისთვის სირთულეს წარმოადგენს ტექსტის მხატვრულ საშუალებათა შესახებ საუბარი. უფრო უადვილდებათ პერსონაჟთა მხატვრული სახეების ანალიზი. **შერჩევითი დაკვირვების** შედეგად დავადგინე, რომ, საერთოდ, ბევრად უფრო უკეთესს შედეგს აღწევენ ჯგუფურად დავალების შესრულების დროს, ხოლო, როცა სამუშაოს დამოუკიდებლად ასრულებენ- დავალების ხარისხი ნაკლებია.

კითხვარების საშუალებით **ანკეტირება** ჩავუტარე X- XI კლასების მოსწავლეებს: სულ **8** რესპოდენტი.

გამოკითხვის ძირითადი მიზანი იყო დამედგინა, როგორ მუსაობენ მოსწავლეები ესეებზე, რამდენად იცნობენ ისინი იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც სწორდება მათი ნამუშევრები. ასევე, თუ ატარებენ წინასწარ სამუშაოებს. ჩემთვის

საინტერესო იყო აგრეთვე წერდნენ თუ არა პირველად რედაქციას და სხვა.(დანართი N 1)

შედეგები ასეთი მივიღე:

1. კითხვაზე- სახალისოა თუ არა ესეს წერა, მოსწავთა პასუხები ასე გადანაწილდა:



გაირკვა, რომ ესეს წერა ეხალისება 25 %-ს, არ ეხალისება- 75%-ს.

2 .კითხვაზე-რამდენად იცნოთ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც სწორდება თქვენი ნამუშევრები, პასუხები ასეთი იყო“



აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა 25 % დეტალურად იცნობს კრიტერიუმებს, 50 % ზედაპირულად, ხოლო 25% პროცენტი საერთოდ არ იცნობს მათ.

4 კითხვაზე- რა უფრო გიჭირთ ესეს წერისას, მოსწავლეთა პასუხებმა უჩვენა , რომ უმეტესობას უჭირს მხატვრულ საშუალებათა გააზრება, ასევე ტექსტიდან დამადასტურებელი ადგილების მოძიება, არიან ისეთებიც, რომლებსაც ყველა საკითხი ერთულებათ ესეს წერის დროს.



5 აღმოჩნდა, რომ უმეტესობა წინასწარ მონახაზს იშვიათად ან საერთოდ არ აკეთებს.



6 მოსწავლეთა დიდი ნაწილისათვის ასევე ბუნდოვანია მასწავლებლის ინსტრუქციები.



7 კითხვაზე, კითხულობთ და განიხილავთ თუ არა გაკვეთილზე, ამხანაგებთან ერთად, ერთმანეთის მიერ დაწერილ ესეებს- მოსწავლეთა პასუხები ასეთი იყო:



7. შემდეგმა კითხვამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა უმეტესობა არ წერს შავ რედაქციას:



8. აღსანიშნავია, მოსწავლეთა ნახევარი საკმაოდ ხშირად მიმართავს დასახმარებლად ინტერნეტს:



8. როგორც გაირკვა, მოსწავლეთა დიდი ნაწილი იშვიათად კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას



9. რაც შეეხება მოსწავლეთა პასუხებს კითხვაზე, თუ რა მიაჩნიათ ყველაზე დიდ სირთულედ წერისას, უმრავლესობის პასუხი იყო, რომ მათ თავიდანვე ექმნებათ უარყოფითი დამოკიდებულება წერის პროცესის მიმართ. მათთვის ესეს წერა ქართულის სწავლების ყველაზე რთული და უსიამოვნო ნაწილია. ფიქრობენ, რომ სირთულეს ქმნის არასათანადო ცოდნა და მეტი სჭირდებათ ამ კუთხით გაიგონ.

5. ჩარევა (ინტერვენცია)

5.1 სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე შემდეგი სახის ინტერვენციები:

- X-XI კლასის მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკების დეტალური გაცნობა, საკუთარი, ამხანაგებისა და მასწავლებლის მიერ დაწერილი ნამუშევრების გასწორება სანიმუშოდ.
- ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ინფორმაციის მაორგანიზებლების, კოგნიტური სქემების შეთავაზება წერის მოსამზადებლად.
- ესეს თითოელ ტიპის წერის ეტაპებზე მინი-ლექციებისა ჩატარება და სანიმუშო წერითი დავალებებით დემონსტრირება.
- რამდენიმე რედაქციის („შავად წერის“) პრეცედენტის შემოღება წესად.
- ყოველი კვირის ბოლოს „ წერის დღის„ დაწესება და ნაშრომების ჯგუფის წინაშე წაკითხვა და გამოფენა.
- ასევე სარეკომენდაციო კლასგარეშე ლიტერატურის შემუშავება (ლიტერატურა უნდა შეირჩეს მოსწავლეების აქტიური ჩარევითა და მათთან შეთანხმებით) , რომელთაც მოსწავლეები სისტემატურად გაეცნობიან და აუცილებლად წეილობით გააკეთებენ მათზე გამოხმაურებას.(გამოხმაურების ფორმას თვითონ წარმდგენი არჩევს.)
- მასწავლებლებთან სისტემატიური შეხვედრების ჩატარება და რეკომენდაციებისა და თვალსაზრისების გაზიარება.

5.2 ინტერვენციების განხორციელება

ინტერვენციების შემუშავებისთანავე შევუდექით მის განხორციელებას. პირველივე ეტაპზე, მოსწავლეთათვის რომ უფრო ცხადი ყოფილიყო ყველა ის ნიუანსი, რომელთაც ყურადღება ექცევა ნაშრომის შეფასების დროს, მოსწავლეებს დავურიგე მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები (**დანართი N 2**). ჯერ დეტალურად გავაანალიზეთ თითოეული კრიტერიუმი, ვაჩვენე მათ, როგორ სწორდებოდა მათი ნამუშევრები ამ კრიტერიუთა გათვალისწინებით, შემდეგ კი მათ ვთხოვე, გაესწორებინათ საკუთარი და მეგობრების ნაშრომები. ამავე დროს მე თვითონ წარვუდგინე მათ ჩემი ნაშრომი, რომელიც ერთად გავასწორეთ სადემონსტრაციოდ. ეს მეთოდი მოსწავლეებისათვის მეტად სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა. მათ ამით გაარკვიეს, რას უნდა მიაქციონ ყურადღება ესეს წერის დროს, რა დეტალებზე უნდა იმუშაონ და რა სახის შეცდომებზე გაკეთდება აქცენტი მათი ნაშრომების გასწორებისას. აღსანიშნავია, რომ ნაშრომების გასასწორებლად და შესაფასებლად გამოვიყენე და მოსწავლეებს გავაცანი ის კრიტერიუმები, რომლითაც სწორდება წერითი დავალებები ეროვნულ გამოცდებზე. ამით ისინი აქედანვე ეჩვევიან იმ სირთულეების დაძლევას, რომლებსაც ისინი აბიტურიენტობისას აწყდებიან.

შეგროვებულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ ესეს წერის სირთულეს იწვევდა ისიც, რომ მოსწავლეებმა არ იცოდნენ, როგორ ემუშავათ. ამიტომ გაკვეთილებზე ინტენსიურად დავიწყეთ ესეს დაწერამდე მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. კერძოდ, ესეს ტიპისა და სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ვთავაზობდი სხვადასხვა სახის სქემებს, მაორგანიზებლებს, დიაგრამებს.წერის დაწყებამდე მოსწავლეები ქმნიდნენ გეგმას, მონახაზს. ვმართავდი დისკუსიას და ვინიშნავდით ყველა საკითხს. მოსწავლეებს შევთავაზე ასევე ენობრივი კლიშეები, რომლებიც მათ ესეში შეუძლიათ გამოიყენონ. ასევე შემოვიღეთ „შავად წერის „ ტრადიცია. მოსწავლის ნაშრომი არ განიხილებოდა და ფასდებოდა, თუ მას არ ექნებოდა დაწერილი პირველადი და მის მიერვე გასწორებული რედაქცია. ამან მოსწავლეებში დაამკვიდრა თავისივე ნაშრომის კრიტიკულად შეფასების ჩვევა.

ამის შემდეგ ქართულის გაკვეთილზე ყოველი კვირის ბოლოს დავაწესეთ „წერის დღე“. კლასს ვთავაზობდი ნაცნობ ან უცნობ მხატვრულ ნაწარმოებს(ან ფრაგმენტს), რომლის მიხედვითაც ისინი წერდნენ განხილვას მითითებების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მე თვითონაც ვწერდი დავალებას, რათა უფრო ხალისი შემემატებინა სამუშაოსთვის და ასევე მეჩვენებინა ნიმუში, როგორი სახით უნდა დაეწერათ ესეები. ამან ძალიან საინტერესო გახადა სწავლის პროცესი როგორც მოსწავლეებისთვის, ისე ჩემთვის.

რადგან კვლევისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას ყველაზე მეტად უჭირდათ მხატვრულ საშუალებებზე მსჯელობა, გადავწყვიტე ., რამდენიმე გაკვეთილი უშუალოდ ამ საკითხისთვის დამეთმო.მოსწავლეებს გავაცანი სპეციალისტთა შეხედულებები და რეკომენდაციები. შემდეგ ისინი ვამუშავე ფოკუსირებულად ტექსტის მხატვრული თავისებურებებსა და მწერლის ენობრივ საკითხებზე უშუალოდ ტექსტების განხილვის მაგალითზე.

კლასში აუცილებელ აქტივობად შემოვიღეთ ასევე მხატვრული ლიტერატურის კითხვა. მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ერთობლივად შევიმუშავეთ კლასგარეშე ლიტერატურის სარეკომენდაციო სია. მოსწავლეები კითხულობდნენ მათთვის სასურველ ნაწარმოებებს და აკეთებდნენ კლასის წინაშე პრეზენტაციას. ამავე დროს აკეთებდნენ ამ წიგნზე წერილობით გამოხმაურებას, რომელსაც ვაკრავდით კლასში.

ამასთან გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან მოვაწყვე შეხვედრები, რომლის დროსაც მათ ეტაპოვრივად ვაცნობდი ჩემ მიერ ჩატარებულ სამუშაოებს, ვიღებდი რეკომენდაციებს, რჩევებს. თანამშრომლურ გარემოში ერთობლივი მუშაობამ, გაკვეთილებზე კოლეგების დასწრებამ, ფოკუსირებული დაკვირვებამ, „კრიტიკული მეგობრის“ შეფასებამ ძალიან დიდი დახმარება გამიწია საკუთარი საქმიანობის უკეთ შესაფასებლად, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების, ასევე მიღწევების განსასაზღვრავად.

5.3 ინტერვენციების შედეგების შეფასება

ინტერვენციების განხორციელებამ დადებითი შედეგები გამოიღო. სისტემატურად ვაკვირდებოდი მოსწავლეთა მუშაობის პროცესს, რათა შემეფასებინა ინტერვენციების ეფექტურობა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ბავშვები გააქტიურდნენ, გამოხატეს მეტი დაინტერესება და მონდომება წერითი სამუშაოების მიმართ. მოსწავლეებთან გასაუბრებამ მიჩვენა, რომ მოსწავლეებისთვის საინტერესო აღმოჩნდა წერის მოსამზადებელი პროცესები. გეგმების შედგენა და სქემების შევსება მათთვის გეზის მიმცემი აღმოჩნდა. როგორც თვითონ აღნიშნეს, შეფასების რუბრიკების გაცნობამ მეტი სიცხადე შესძინა მათ შესასრულებელ სამუშაოს. მართალია, თავიდან გაუჭირდათ თავიანთი და მეგობრების ნამუშევრების ობიექტურად შეფასება, მაგრამ გაეცნენ მთავარს- რა მოეთხოვებათ თემის წერის დროს, რა უნდა გაითვალისწინონ პირველ რიგში.

ვფიქრობ, ასევე „შავად წერამ“ უფრო დახვეწა მათი ნამუშევრების ხარისხი. თუმცა მაინც გაუჭირდათ, ჩვევად ექციათ რამდენჯერმე ესეს დაწერა. საკმაო ძალისხმევა დამჭირდა, რათა ეს ტრადიცია კლასში დამემკვიდრებინა.

მოსწავლეთა უმრავლესობა აქტიურად შეუდგა წიგნების კითხვას, თუმცა აქ დროის ფაქტორმა იჩინა თავი. X-XI კლასებში მოსწავლეებს საკმაოდ დატვირთული რეჟიმი აქვთ. ამასთანავე წიგნიერების ამაღლება , მოგეხსენებათ, რამდენიმე წიგნის წაკითხვით შეუძლებელია. შედეგების განსაზღვრა ასე მცირე დროში ამ კუთხით არ მოხერხდება. თუმცა თვითონ წიგნის კითხვის ტრადიციის დამკვიდრება ბავშვებში, ვფიქრობ, უკვე დადებითი შედეგის მაჩვენებელია.

მოსწავლეთა ნამუშევრების სისტემატურმა მონიტორინგმა ცხადყო მათი პროგრესი. ნაშრომები უფრო ხარისხიანი, სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი და ორგანიზებული გახდა.რაც შეეხება თვითონ მოსწავლეთა დამოკიდებულებას, უმეტესობამ აღნიშნა, ისინი უფრო გაბედულები და თამამები გახდნენ ესეს წერაში, უკეთ გამოსდით აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრობით დალაგება, თუმცა, წერითი მეტყველების სირთულეს წარმოადგენს ის, რომ მისი ერთბაშად სწავლა შეუძლებელია, ის ჩვევად უნდა ექცეს მოსწავლეს, რათა სასურველ შედეგებამდე მივიდეს. ამიტომ ამ კუთხით, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო.

6.1. მიგნებები, რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ:

- ქართულის გაკვეთილზე სისტემატურად უნდა დავუთმოთ დრო ესეს დამუშავებას, მოსამზადებელ სამუშაოებს (გეგმები, სქემები,ჩანაწერები, მაორგანიზებლები და სხვა),რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, გამოიმუშავოს მეტაკოგნიტური უნარები.
- თავდაპირველად მასწავლებლის ინსტრუქციები უნდა იყოს მკაფიო და დეტალური, რათა მოსწავლემ იცოდეს წერის სწორი მიმართულება, შემდგომ ეტაპზე სასურველია მოსწავლეს მივანიჭოთ მეტი თავისუფლება, რათა განივითაროს დამოუკიდებლად მუშაობის უნარები.

- მოსწავლემ ზედმიწევნით უნდა იცოდეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც სწორდება მისი ნამუშევარი.
- კლასში ტრადიციად უნდა იქცეს კლასგარეშე მხატვრულ ლიტერატურის წაკითხვა- გაანალიზება.
- მასწავლებელი თვითონაც აქტიურად უნდა ჩაერთოს წერის პროცესში, რათა მისი ქცევა სანიმუშოდ ექცეს მოსწავლეებს.

6.2.კვლევის ნაკლოვანებები

წერითი მეტყველების განვითარება(ჩვენს შემთხვევაში, მხატვრული ტექსტის ანალიზის წერა) მეტად რთული და მრავალკომპონენტიანი პროცესია. ამიტომ შეუძლებელია, ერთმა კვლევამ სრულყოფილად ასახოს ამ საკითხის პრობლემატიკა. ეს ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ მონახაზს, რომელშიც ძირითადი საკითხები წამოვჭერით. ამ საკითხზე მუშაობა, რა თქმა უნდა , მთელი ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს და მასზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

დასკვნა

კვლევაში გამოყენებული მეთოდიკა გამოყენებული იყო საშუალო საფეხურის მოსწავლეებში ანალიტიკური ესეს წერის პრობლემების გამომწვევი ფაქტორებისა მოძიებისა და მისი დაძლევის გზების ძიებისაკენ. იგი ითვალისწინებდა იმ ატივობების და სტრატეგიების გამოყენებას სასწავლო პროცესშში, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებში წერითი უნარ-ჩვევების დახვეწას, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, მოტივაციისა და ჩართულობის ხარისხის ამაღლებას. ამ მხრივ, კვლევამ საკმაოდ კარგი შედეგები გამოიღო. მიღწევებზე დაყრდნობით შევიმუშვე რეკომენდაციები, რომელიც საშუალებას მომცემს, მომავალში უფრო ეფექტურად წარვმართო სასწავლო პროცესი.

ზოგადად, მხატვრული ნაწარმოებების ანალიზის წერის პრობლემატიკაზე მუშაობა, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ამ პედაგოგიურმა კვლევამ საშუალება მომცა უფრო სიღმისეულად და

დეტალურად შემეფასებინა ჩემი მუშაობა, გამეანალიზებინა პრობლემები და ხარვეზები, გამომეკვეთა საჭიროებები და ფართო ჭრილში დამენახა შესასწავლი საკითხი. კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების გაზიარება თანამშრომლებისთვისაც საინტერესო და ბევრისმიმცემი აღმოჩნდა. ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება მათაც დაეხმარებათ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში.

ბიბლიოგრაფია

1. გოგოხია ლ.,“დასაწყისი მიკარნახეთ, მასწ.“ -ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“; 22 აპრილი, 2016 წ.http://mastsavlebeli.ge/?p=9948
2. გოდუაძე მ; „მასწავლებლის საიდუმლო და წერითი სწავლების კონცეპტუალური თეზისები“ ; იტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“; 8 აპრილი, 2014 წ.http://mastsavlebeli.ge/?p=2055
3. გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ.,- ანალიტიკური წერა. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/wignebi/analitikuri%20werA/analitikur_i%20wera_11.htm
4. ეროვნული სასწავლო გეგმა
5. თოფაძე ქ.,“წერითი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“;ალმანახი „დიალოგი+“, სტატიების კრებული, 2010 წ.
6. ლობჟანიძე ს.- „როგორ წარვმართოთ სასწავლო კვლევები“; ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“; 3 მაისი, 2012 წელი.http://mastsavlebeli.ge/?p=281
7. ლომიძე ნ. „მხატვრული ნაწარმოების ანალიზი-მეთოდური მითითებები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის“; მასწავლებლის წიგნი N 7; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ; 2017 წ.
8. ლომიძე ნ.- “პროზაული მხატვრული ტექსტის ანალიზი“; მასწავლებლის წიგნი N 7; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ; 2017 წ.

9. ლომიძე ნ. - „პროზაული ტექსტი-გაგება-გააზრებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალება“; მასწავლებლის წიგნი N 7; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ; 2017 წ.
10. ლომიძე ნ. – „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ“. მასწავლებლის წიგნი N 7; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ; 2017 წ.
11. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, II ნაწილი.მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2016 წ.
12. სამსონია ი.-„მხატვრული ტექსტის გააზრების ზოგიერთი ასპექტი. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“.26 სექტემბერი, 2014 წ. http://mastsavlebeli.ge/?p=4081
13. სახელაშვილი თ., “ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს თხზულების წერა“- ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“. 5 ივნისი, 2012 წ.- http://mastsavlebeli.ge/?p=3568

დანართი N 1

კითხვარი მოსწავლეთათვის

ძვირფასო მოსწავლეებო,

თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, ჩაერთოთ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სორმონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ თამარ ფურცხვანიძის პედაგოგიურ კვლევაში: „ მხატვრული ნაწარმოების ანალიზის წერის პრობლემატიკა და გაუმჯობესების გზების ძიება“ .

გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები, კითხვარი ანონიმურია და სახელისა გვარის დაფიქსირება არსად მოგეთხოვებათ.

1. სახალისოა თუ არა თქვენთვის თემის წერა?

1.დიახ 2. არა 3. ნაწილობრივ 4. თავს შევიკავებ

2. რამდენად იცნობთ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც სწორდება თქვენი ნაშრომები?

1. დეტალურად ვიცნობ
2. ზოგადად ვიცნობ
3. არ ვიცნობ

3. რა მეტად გიჭირთ ესეს წერის დროს?

1. მთავარი საკითხის გააზრება
2. ტექსტიდან მაგალითების მოძიება
3. მხატვრულ საშუალებათა გაანალიზება
4. ყველა საკითხი რთულია

4. წერის დაწყებამდე აკეთებთ თუ არა მონახაზს, გეგმას?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს.

5. ცხადია თუ არა თქვენთვის მასწავლებლის მოცემული ინსტრუქციები?

1. ყოველთვის
2. ნაწილობრივ
3. არასდროს

6. კითხულობთ და განიხილავთ თუ არა გაკვეთილზე, ამხანაგებთან ერთად, ერთმანეთის მიერ დაწერილ ესეებს?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

7. წერ თუ არა პირველ და მეორე რედაქციას?(იყენებ თუ არა „ შავად“ წერას?)

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

8. თემის დასწერად იყენებ თუ არა დამხმარე ლიტერატურას, ინტერნეტგვერდებს?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

9. თავისუფალ დროს კითხულობ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?

1. ხშირად
2. იშვიათად

3. არასდროს

10. გთხოვთ, რამდენიმე წინადადებით უპასუხოთ, რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი სირთულე წერისას ?

დანართი N 2

მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები და მათი განმარტება

https://www.naec.ge/uploads/postData/EEG-2018/mkhatvruli-textis-analizi-da-shefasebis-kriteriumis-ganmarteba.pdf

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია

სსიპ წყალტიბოს მუნიციპალიტეტის სორმონის საჯარო სკოლის X-XI კლასებში

ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: **„მხატვრული ნაწარმოების ანალიზის წერის პრობლემატიკა X-XI კლასებში“.** კვლევა მიმდინარეობდა ექვსი თვის განმავლობაში- 2019 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით. კვლევა საკმაოდ შრომატევადი, თუმცა სასარგებლო , საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო როგორც ჩემთვის, ისე ჩემი მოსწავლეებისათვის.

კვლევის მიზანი იყო, დამედგინა, თუ რა ფაქტორები განაპირობებდა მოსწავლეებში წერით პრობლემებს და რა ინტერვენციები უნდა განმეხორციელებინა პრობლემების დასაძლევად.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე შევიმუშავე სამუშაო გეგმა, გავეცანი საკმაოდ მრავალფეროვან ლიტერატურას, პრობლემის მიზეზები დასადგენად გამოვკვეთე სავარაუდო კითხვები და ქვეკითხვები, რომელთა გათვალისწინებითაც განვახორციელე დაკვირვება, ჩავატარე ანკეტირება და ფოკუს-ჯგუფი.

კვლევის მრავალფეროვანმა მეთოდებმა საშუალება მომცა, დამედგინა და განმეხორციელებინა ინტერვენციები. შედეგი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში, მოემატათ სითამამე, სკრინინგმა ცხადყო, რომ ბავშვები გააქტიურდნენ, გამოხატეს მეტი დაინტერესება და მონდომება წერითი სამუშაოების მიმართ.მოსწავლეებისთვის საინტერესო აღმოჩნდა წერის მოსამზადებელი პროცესები.

წარმატებულმა და შედეგიანმა ინტერვენციებმა საშუალება მომცა ჩამომეყალიბებინა კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც გავუზიარე ჩემს თანამშრომლებს- ქართული ენისა და ლიტერატურის და დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, ასევე პრეზენტაციის სახით კვლევის ანგარიში წარვუდგინე შეფასების ჯგუფს, დეტალურად ვესაუბრე მათ კვლევის თითოეულ ეტაპზე, გავაცანი პირველადი და მეორეული მონაცემები მოსწავლეთა ნაშრომების სახით, ასევე ვისაუბრე იმ პრობლემებზე, რომელთანაც გამკლავება მომიწია მუშაობის პროცესში. დაწვრილებით ვესაუბრე თითოეული რეკომენდაციის დადებით შედეგზე. თანამშრომლებს გავუზიარე ის მიგნებები, რომლებიც პირადად ჩემთვის და ჩემი მომავალი საქმიანობისთვის იქნება მნიშვნელოვანი. ასევე გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება კვლევის ნაკლოვანებების მიმართ.

კოლეგებისგან მივიღე დადებითი უკუკავშირი. მასწავლებლები დაინტერესდნენ კვლევაში განხორციელებული ინტერვენციების შედეგით, მომიწონეს პრაქტიკის კვლევა, ასევე აღნიშნეს სარგებელი, რომელიც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. კოლეგებმა აღნიშნეს კვლევის ტექნიკური მხარე და განაცხადეს, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ დანართების სახით უფო დეტალური ინფორმაცია ყოფილიყო მოწოდებული. საერთო ჯამში, უკუკავშირი იყო პოზიტიური, საქმიანი და კონსტრუქციული.

2019 წლის 20 ივნისი
თამარ ფურცხვანიძე